საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2025 წელი II კვარტალი

03.09.2025
www.geostat.ge

03.09.2025

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2025 წლის II კვარტალი)

2025 წლის II კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 12.5 პროცენტით გაიზარდა და 60.3 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2025 წლის II კვარტალში მისი მოცულობა 23.2 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 13.0 პროცენტით მეტია.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობა კვარტლების მიხედვით



03.09.2025

2025 წლის II კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის 68.1 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა, 14.9 პროცენტი — საშუალოზე, ხოლო 17.0 პროცენტი კი — მცირე ბიზნესზე.

განსხვავებული განაწილება იყო პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა პროდუქციის გამოშვების 46.8 პროცენტი, საშუალოზე — 24.1 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე — 29.1 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2025 წლის II კვარტალი



2025 წლის II კვარტალში, საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 31.0 მილიარდი ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.3 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა 17.8 მილიარდი ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.6 პროცენტით მეტი) შეადგინა.

2025 წლის II კვარტალში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 795.6 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 3.3 პროცენტით მეტია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 44.1 პროცენტი ქალი იყო, ხოლო 55.9 პროცენტი — კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 42.9 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა, 20.4 პროცენტი — საშუალოზე, ხოლო 36.7 პროცენტი — მცირე ბიზნესზე.

საანგარიშო პერიოდში დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 745.3 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.9 პროცენტით მეტი), ხოლო საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე 5 284.0 მილიონი ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.5 პროცენტით მეტი).

2025 წლის II კვარტალში, ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 2 317.6 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 212.2 ლარით), ხოლო მათ შორის ქალების ხელფასმა 1 783.5 ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით გაზრდილია 147.2 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი კი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 2 466.9 ლარი;
- საშუალო ბიზნესი – 2 741.8 ლარი;
- მცირე ბიზნესი – 1 823.3 ლარი.

03.09.2025

2025 წლის II კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი, 35.1 პროცენტი, მოდიოდა ხელოვნება, გართობა და დასვენების დარგზე, მეორე ადგილს იკავებდა ვაჭრობა (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით) 33.0 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდიოდა დამამუშავებელი მრეწველობა — 8.0 პროცენტიანი წილით, მშენებლობა — 5.8 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება — 4.5 პროცენტიანი წილით, ინფორმაცია და კომუნიკაცია — 3.7 პროცენტიანი წილით, ხოლო 10.0 პროცენტი დანარჩენ დარგებზე განაწილდა.

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა,
2025 წელი II კვარტალი



03.09.2025

2025 წლის II კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ ხუთ ადგილს დამამუშავებელი მრეწველობა (19.3 პროცენტი), ვაჭრობა (18.2 პროცენტი), მშენებლობა (16.5 პროცენტი), ინფორმაცია და კომუნიკაცია (9.4 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება (9.1 პროცენტი) იკავებდა, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში ჯამურად 27.6 პროცენტიანი წილი ეჭირა.

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2025 წელი II კვარტალი



03.09.2025

2025 წლის II კვარტალში, დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ლიდერობდნენ ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები, შესაბამისად, 29.0, 11.6 და 9.4 პროცენტიანი წილებით. სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდიოდა ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.1 პროცენტი), მშენებლობის (8.0 პროცენტი), აგრეთვე ინფორმაციისა და კომუნიკაციის (6.3 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების (5.4 პროცენტი) დარგის საწარმოებზეც.

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2025 წლის II კვარტალი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.



03.09.2025

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვლილება 2025 წლის II კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2024 წლის II კვარტალი	2025 წლის II კვარტალი	2025 წლის II კვარტლის ზრდის ტემპი 2024 წლის II კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**53 572.8**	**60 290.7**	**112.5**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	231.0	237.9	103.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	409.2	615.7	150.5
დამამუშავებელი მრეწველობა	4 552.8	4 824.5	106.0
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1 285.5	1 324.8	103.1
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	128.2	136.3	106.3
მშენებლობა	3 227.8	3 481.9	107.9
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	18 483.4	19 888.9	107.6
ტრანსპორტი და დასაწყობება	2 521.0	2 729.3	108.3
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	859.3	995.6	115.9
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	336.3	416.9	123.9
საკვებით და სასმელებით მომსახურება	523.0	578.8	110.7
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 425.6	2 212.1	155.2
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	538.7	605.3	112.4
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	592.1	657.2	111.0
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	467.6	563.5	120.5
განათლება	234.1	277.3	118.4
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	417.8	541.4	129.6
ხელოვნება გართობა და დასვენება	18 141.3	21 136.7	116.5
სხვა სახის მომსახურება	57.4	62.3	108.6

03.09.2025

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვლილებას 2025 წლის II კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2024 წლის II კვარტალი	2025 წლის II კვარტალი	2025 წლის II კვარტლის ზრდის ტემპი 2024 წლის II კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**20 542.1**	**23 220.5**	**113.0**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	229.6	232.5	101.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	399.5	539.1	134.9
დამამუშავებელი მრეწველობა	4 161.5	4 477.8	107.6
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	677.7	705.9	104.2
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	141.5	156.2	110.4
მშენებლობა	3 727.0	3 823.5	102.6
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	3 893.4	4 225.3	108.5
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 876.8	2 114.2	112.7
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	869.9	1 009.6	116.1
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	347.0	427.2	123.1
საკვებით და სასმელებით მომსახურება	522.9	582.4	111.4
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 399.6	2 178.7	155.7
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	521.9	604.0	115.7
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	515.0	570.0	110.7
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	354.0	418.1	118.1
განათლება	242.6	290.4	119.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	642.9	807.2	125.5
ხელოვნება გართობა და დასვენება	833.1	1 007.0	120.9
სხვა სახის მომსახურება	56.1	61.1	108.9

03.09.2025

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვლილება 2025 წლის II კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2024 წლის II კვარტალი	2025 წლის II კვარტალი	2025 წლის II კვარტლის ზრდის ტემპი 2024 წლის II კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**769 875**	**795 625**	**103.3**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	11 541	11 661	101.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	12 339	11 102	90.0
დამამუშავებელი მრეწველობა	90 906	91 947	101.1
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	16 974	16 949	99.9
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	15 920	16 743	105.2
მშენებლობა	63 371	63 651	100.4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	218 997	230 987	105.5
ტრანსპორტი და დასაწყობება	61 416	64 651	105.3
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	39 176	42 902	109.5
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	14 730	17 062	115.8
საკვებით და სასმელებით მომსახურება	24 446	25 840	105.7
ინფორმაცია და კომუნიკაცია	48 158	49 792	103.4
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	19 334	19 714	102.0
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	24 073	25 480	105.8
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	22 143	22 873	103.3
განათლება	24 657	24 831	100.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	74 000	74 867	101.2
ხელოვნება გართობა და დასვენება	19 847	20 425	102.9
სხვა სახის მომსახურება	7 023	7 051	100.4

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

რეგიონი	%
ქ. თბილისი	79.7
აჭარის ა.რ.	5.5
ქვემო ქართლი	3.6
იმერეთი	3.2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.1

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს ასევე ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

რეგიონი	%
ქ. თბილისი	66.3
აჭარის ა.რ.	8.0
ქვემო ქართლი	6.5
იმერეთი	5.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4.0

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

- ქ. თბილისი – 66.1 პროცენტი;
- აჭარის ა.რ. – 9.6 პროცენტი;
- იმერეთი – 6.3 პროცენტი;
- ქვემო ქართლი – 5.4 პროცენტი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.3 პროცენტი;
- კახეთი – 2.8 პროცენტი;
- შიდა ქართლი – 2.2 პროცენტი;
- მცხეთა-მთიანეთი – 1.7 პროცენტი;
- სამცხე-ჯავახეთი – 1.4 პროცენტი;
- გურია – 0.9 პროცენტი;
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 0.3.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

- საქმიანობის სექტორები K, O, T, U
- 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
- ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა.შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601) E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge